საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "20" 09 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1255/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 5 სექტემბერს N 73865/03 განაცხადით შპს „რუსთავის აზოტის" წარმომადგენელმა ნაირი გერგაიამ (მის: მშვიდობის N2, რუსთავი) მოითხოვა გამოსახულებით სასაქონლო ნიშანზე (რეგ. N 24065) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი (რეგ. N 24065) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 20.09.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 20.09.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 1-ლი, 35-ე და 44-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოსახულებით სასაქონლო ნიშანზე

(რეგ. N 24065) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით 1-ლი კლასის რეგისტრირებული საქონლის ჩამონათვალის მიმართ (მოთხოვნის რეგისტრაციის N 367), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 20.09.2013.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „რუსთავის აზოტის" წარმომადგენელს ნაირი გერგაიას (მის: მშვიდობის N2, რუსთავი)

ასლი დედანთან სწორია
20 " 09 2013 წ.
ხელმოწერა